განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ

პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური

წევრი: მაია ხურცილავა, სსიპ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი
2023

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება	საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი	205296188

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი
საათების რაოდენობა	24
სწავლების მეთოდი/ ფორმა	☐ელექტრონული კურსი ☒საკლასო მეცადინეობა
პროგრამის სტატუსი (ახალი/აკრედიტებული)	ახალი

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ შემუშავდა 2022 წელს. პროგრამის მიზანია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, III და IV რანგის პროფესიულ საჯარო მოხელეთა პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარება.
პროგრამის სამიზნე აუდიტორიაა:
III რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე:

- პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა;
- მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა;
- მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა;

IV რანგი – უმცროსი სპეციალისტის დონე:

- პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა;
- მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა;
- მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა.
  პროგრამა მოიცავს 4 სასწავლო კურსს (ადმინისტრაციული წარმოება, ეთიკა საჯარო სამსახურში, ეფექტიანი მომსახურება და პროფესიული კომუნიკაცია) მოცულობა 24 საათია.

პროგრამა შემუშვებულია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების საფუძველზე.

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის 2022 წლის 28 დეკემბრის №107 წერილის და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES № 130240 (06/02/2023) და ამავე ბრძანებაში 2023 წლის 7 თებერვლის № 136680 ბრძანებით ცვლილების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - ლევან მადათოვი, წევრი - მაია ხურცილავა, განხორციელდა 2023 წლის 23 თებერვალს. ვიზიტის განხორციელებამდე ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში ექპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩაატარა ინტერვიუები დაწესებულების წარმომადგენლებთან:

- პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფთან;
- სასწავლო პროგრამების სამსახურის წარმომადგენელთან;
- ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელთან (სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულება);
- ფინანსური სამსახურის წარმომადგენელთან;
- ტრენერებთან (ონლაინ რეჟიმში).

ინტერვიუთი და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა მხარეების მაღალი ჩართულობა, ორგანიზაციის ინსტიტუციური გამოცდილება და დასაქმებულთა პროფესიონალიზმი, რაც იძლევა პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების წინაპირობას.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დასრულებისას, დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

რჩევები (არსებობის შემთხვევაში)

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას,თუმცა რთულია ნავიგაცია რომ დაინტერესებულმა პირმა ზუსტად მიაგნოს პროგრამის შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებამ უნდა იზრუნოს პროგრამის პოპულარიზაციაზე და ვებ-გვერდზე შესაბამისი ჩანართის შექმნაზე სადაც დაინტერესებული მხარეები მიიებენ დეტალურ ინფორმაციას ტრენერებზე, მატერიალურ რესურსზე და ა.შ;

2. სასურველია მსმენელთა შეფასების პროცესი განახორციელდეს ელექტრონულ ფორმატში. მითუმეტეს, ორგანიზაციას ამ მიმართულებით გააჩნია სათანადო გამოცდილება და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი	☒	☐	☐
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ლევან მადათოვი (თავმჯდომარე)

მაია ხურცილავა (წევრი)

პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. პროგრამის შინაარსი

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით (შემდგომში – დადგენილება) განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამის სტრუქტურა, მისი კომპონენტები, სწავლის მეთოდები და შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1. პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებულია დაწესებულებაში არსებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში არსებული ,,სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს“ შესაბამისად. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ადგენს სასწავლო პროცესების სრული ციკლის მართვის ერთიან სტანდარტს, რაც ითვალისწინებს პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცედურებს, ჩართული პირების უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებ-ლობის მოთხოვნებთან. საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს სწავლების 13 წლიანი გამოცდილება აქვს, მათ მიერ ორგანიზებული სასწავლო პროგრამები ორიენტირებულია ზოგადი და დარგობრივი პროფესიული უნარების გაძლიერებაზე, ასევე სამოქალაქო და საარჩევნო კულტურის განვითარებაზე. სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო სერვისის ბენეფიციარები არიან საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებული საჯარო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და საარჩევნო პროცესში ჩართული დაინტერესებული პირები (ამომრჩევლები, პოლიტიკური პარტიები, მედიასაშუალებები, დამკვირვებელი ორგანიზაციები). სწავლების ცენტრის გამოცდილება ასევე მოიცავს საარჩევნო სფეროში სასწავლო-საექსპერტო მომსახურებას საზღვარგარეთის ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის (მოლდოვას რესპუბლიკა, ალბანეთის რესპუბლიკა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა, შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკა).

პროგრამის შემუშავების მიზნით ცენტრის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის“ შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაწესებულების რეგულაციების გათვალისწინებით შეიმუშავა წარმოდგენილი პროგრამა, შეადგინა თვითშეფასება და მოამზადა თანდართული დოკუმენტაცია. პროგრამა დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის ბრძანებით. პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი ისეთი მნიშნელოვანი საკითხები, როგორიც არის პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნობრივი ჯგუფები, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის შეფასების სისტემა. პროგრამას ახლავს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ, სასწავლო გეგმა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,პროგრამის განხორციელების გეგმა“, რომელშიც მოცემულია პროგრამის ზოგადი აღწერა, პროგრამის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საკონტაქტო დღეებსა და საათებს, შეფასებისთვის განკუთვნილ დროს. თითოეული მოდულის სასწავლო თემატიკის საათობრივ განაწილებას, სწავლების მეთოდოლოგიას, სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. წარმოდგენილი პროგრამა და პროგრამის განხორციელების გეგმა შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2018 წლის №242 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
ინდიკატორები • ბრძანება პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის, საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ (ბრძანება №1-52, 10.05.2022) • „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“ (ბრძანება №1-75, 17.06.2022) • სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ თანდართული საგნების სილაბუსებით (ბრძანება №1-219, 16.12.2022)
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთა**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის შემუშავება/განვითარება თანამონაწილეობითი პროცესია, რომელშიც უზრუნველყოფილია დაინტერესებულ პირთა ჩართულობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება სასწავლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების პროცესს წარმართავს სისტემურად, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. რომელიც რეგულირდება ,,სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოში“ გაწერილი პროცედურის შესაბამისად.

სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მიხედვით სასწავლო ცენტრი პროგრმის დაგეგმვის ეტაპზე ითვალისწინებს სამიზნე აუდიტორიის საჭიროებების იდენტიფიცირებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს პროგრამის შემუშავების ეტაპზე განხორციელებულ პროცედურებზე. ამ მიზნით სამუშაო ჯგუფმა განახორციელა საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების ანალიზი, საკანონმდებლო რეფორმებიდან გამომდინარე გამოკვეთილი საჭიროებების ანალიზი, საერთაშორისო ტენდენციების ანალიზი, განიხილეს კვლევები, ანგარიშები ან სხვა საჯარო წყაროებით გამოკვეთილი საჭიროებების ანალიზი, პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის გამოკითხვის შედეგების ანალიზი, მოხელეების სამუშაოს შესრულების შეფასების შედეგების ანალიზი.

აღნიშნული პროგრამის შემუშავების მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყო პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნა, განსაზღვრა მათი საქმიანობა და უფლებამოსილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუირების საფუძველზე დგინდება, რომ სამუშაო ჯგუფმა გაანალიზა პროგრამით დაინტერესებული პირების საჭიროება და შეიმუშავა სასწავლო პროგრამის კონცეფცია - განსაზღვრა პროგრამის მიზანი, ამოცანები და სწავლების შედეგი, სამიზნე აუდიტორია, ძირითადი სასწავლო თემატიკა; სწავლების ფორმატი და მეთოდოლოგია, სწავლების პერიოდი და ხანგრძლივობა. შემუშავების ეტაპზე სასწავლო ცენტრმა უზრუნველყო საგნების შესაბამისად ტრენერების იდენტიფიცირება (სწავლების ცენტრის, ტრენერთა ასოციაციისა და საჯარო სამსახურის ბიუროს ტრენერთა ბაზის გათვალისწინებით), რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ პროგრამის და სასწავლო კურსების შემუშვების ეტაპზე. დაწესებულებამ

პროგრამა უზრუნველყო მატერიალურ-ტექნიკურით და მიმდინარე წლის ბიუჯეტში გაითვალისწინა პროგრამის განხორციელების ხარჯები. სასწავლო ცენტრმა განახორციელა პროგრამის პილოტირება, რომლის შედეგადაც მიღებული უკუკავშირი გაითვალისწინა პროგრამის მიმდინარე რედიქციით შემუშავების დროს. პროგრამას ახლავს სასწავლო სილაბუსი, სადაც გაწერილია საგნის დასახელება, მიზანი, სამიზნე აუდიტორია, სწავლების ფორმა და მეთოდოლოგია, პროგრამის შინაარსი, ხანგრძლივობა, სწავლების შედეგი, სწავლის შეფასების მეთოდები, სწავლებისთვის საჭირო რესურსები, ლიტერატურა / სასწავლო მასალა; სასწავლო მასალები (პრეზენტაციები, დამხმარე საკითხავი მასალა, პრაქტიკული სავარჯიშოები, ტრენერის გზამკვლევი); სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები. თითოეულ კურს ჰყავს რამდენიმე განმახორციელებელი, ინტერვიუს ფარგლებში ტრენერებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსი შეიმუშავეს ერთობლივად, სამუშაო პროცესი ძირითადად წარიმართა ელექტრონულ ფორმატში (Zoom პლატფორმის, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით), საბოლოო ვერსია კი განიხილეს პირისპირ შეხვედრის ფორმატში, რომელიც ასახულია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმში.
ინდიკატორები • სწავლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 10 მაისის №1-52 ბრძანება „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის“ შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის, საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“. • „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ საგნების სილაბუსები. • სწავლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის №1-219 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“. • ტრენერებთან გაფორმებული წინასწარი შეთანხმებები.სწავლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ივნისის №1-75 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“. • სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო ცენტრს შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების გეგმა, სადაც გაწერილია სწავლებისა და შეფასების მეთოდები. სასწავლო პროგრამის შედეგების შეფასება ეფუძნება კირკპატრიკის შეფასების მოდელს. აღნიშნული მოდელიდან გამოიყენება პირველი სამი დონე: რეაქციის შეფასება: აღნიშნულ დონეზე იზომება მონაწილეთა დამოკიდებულებები და რეაქციები სასწავლო პროცესის მიმართ; ტრენინგის ხარისხის, ეფექტიანობის, რელევანტურობისა და სარგებლიანობის შესახებ; ტრენერითა და სასწავლო მასალებით კმაყოფილება; ტრენინგის ორგანიზაციული კუთხით კმაყოფილება. სწავლის შედეგების შეფასება: აღნიშნულ დონეზე ხდება იმის დადგენა, თუ რამდენად გაიზარდა პროგრამის შედეგად მსმენელის ცოდნა და უნარები ან შეიცვალა მისი დამოკიდებულებები და ქცევები. აღნიშნულ დონეზე გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი: პრე-პოსტ ტესტირებები, შემაჯამებელი გამოცდა და სხვა. ქცევის ცვლილების შეფასება: აღნიშნული შეფასების მიზანია იმის გაზომვა, თუ რამდენად მოახდინა მსმენელმა ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენება, ტრენინგის შედეგად მიღებული უნარებისა და ცოდნის სამუშაო გარემოში ტრანსფორმაცია. რეაქციის დონეზე მონაწილისგან უკუკავშირის შეგროვება ხორციელდება კურსის დასასრულს. ფასდება შემდეგი კომპონენტები: კურსის საერთო შეფასება (ტრენინგით ზოგადი კმაყოფილება); კურსის შინაარსისა და სტრუქტურის შეფასება; ტრენერის შეფასება; კურსის ორგანიზაციული საკითხების შეფასება (ტრენინგის გარემოს შეფასება; ტრენინგის მატერიალურ - ტექნიკური მხარის შეფასება). სწავლის შედეგების შეფასების კუთხით გამოიყენება მაფორმირებელი და შემაჯამებელი შეფასების მეთოდები. მაფორმირებელი შეფასების მიზანია მსმენელის სწავლის პროცესის მონიტორინგი, მისთვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებით, რაც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის გასაუმჯობესებლად. შემაჯამებელი შეფასების მიზანია მსმენელის სწავლის შეფასება სასწავლო კურსის დასასრულს. აღნიშნული შეფასებისთვის გამოიყენება ორი ინსტრუმენტი: პრე-პოსტ ტესტირება; დასკვნითი გამოცდა.

პრე-პოსტ ტესტირება გათვალისწინებულია თითოეული საგნის ფარგლებში, მიზნად ისახავს კურსის მონაწილის ცოდნისა და უნარების დონის ცვლილების გაზომვას/პროგრესის განსაზღვრას და შესაბამისად სწავლების შედეგების შეფასებას. პროგრამის წარმატებით დასრულების მაჩვენებლად მიიჩნევა მონაწილის მიერ მინიმალური ზღვრის (75%) გადალახვა. ქცევის ცვლილების შეფასების დონეზე ხორციელდება კურსდამთავრებულების და /ან მათი ხელმძღვანელებისგან უკუკავშირის შეგროვება შესაბამისი კითხვარების ან/და ინტერვიუების მეშვეობით, კურსის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ. აღნიშნული უკუკავშირი მოიცავს კითხვებს ტრენინგის მნიშვნელობის, რელევანტურობის, მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ და სხვა. შეფასების თითოეულ დონეზე შეგროვებული ინფორმაციის (რაოდენობრივი და თვისობრივი) შეჯერებისა და ანალიზის შედეგად ხდება სასწავლო პროგრამის სუსტი/ძლიერი მხარეების გამოვლენა და პროცესის გასაუმჯობესებლად შესაბამისი საკითხების ინიცირება. სასწავლო პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია სწავლების ცენტრის ვებგვერდზე: www.electionreforms.ge
ინდიკატორები • პროგრამის განხორციელების გეგმა • დაწესებულების ვებგვერდი www.electionreforms.ge
რეკომენდაციები: დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას,თუმცა რთულია ნავიგაცია რომ დაინტერესებულმა პირმა ზუსტად მიაგნოს პროგრამის შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში დაწესებულებამ უნდა იზრუნოს პროგრამის პოპულარიზაციაზე და ვებ-გვერდზე შესაბამისი ჩანართის შექმნაზე სადაც დაინტერესებული მხარეები მიიებენ დეტალურ ინფორმაციას ტრენერებზე, მატერიალურ რესურსზე და ა.შ
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური; პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ სტრუქტურა თანმიმდევრულია და ლოგიკურად არის აგებული. პროგრამა მოიცავს ოთხ კურსს:

1. ადმინისტრაციული წარმოება;
2. ეთიკა საჯარო სამსახურში;
3. პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა;
4. ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა.

დაწესებულებას შემუშვებული აქვს პროგრამის განხორციელების გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი თითოეული სასწავლო კურსის თემატიკა და მისი საათობრივი გადანაწილება.

აღნიშნული კურსები შესაბამისი თემატიკით და საათობრივი გადანაწილებით უზრუნველყოფს იმ შედეგების მიღწევას, რაც გათვალისწინებულია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით.

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, სადაც იდენტიფიცირებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების თანხვედრა.

ინდიკატორები

- სწავლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის №1-219 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“. მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, განხორციელების გეგმა.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5. პროგრამის კომპონენტები უკავშირდება დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციების შეძენას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში შემავალი თითოეული საგნის თემატიკა უზრუნველყოფს დადგენილებით განსაზღვრულ კომპეტენციების შეძენას. პროგრამით განსაზღვრული საგნების თემატიკა და სწავლების მეთოდოლოგია შედეგად უზრუნველყოფს „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით განსაზღვრული კომპეტენციების შეძენას: • ეფექტური კომუნიკაცია; • დამოუკიდებელი მუშაობის უნარი; • გუნდური მუშაობის უნარი; • კომპლექსური აზროვნება; • დროის ეფექტიანი მართვა; • ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი; • საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; • ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და დეტალებზე ორიენტირების უნარი.
ინდიკატორები სწავლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის №1-219 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“.
რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.6. პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნასთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 24 საკონტაქტო საათით, თითოეული საგნის ხანგრძლივობაა 6 სთ. აღნიშნული შესაბამისობაშია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნასთან. პროგრამის განხორციელების გაგმაში დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი ალტერნატიული გეგმა, რაც ეფუძნება საჯარო მოხელეების ინტერესებს. ერთ შემთხვევაში ბენეფიციარების დატვირთვა დღის განმავლობაში განსაზღვრულია არა უმეტეს 6 საკონტაქტო საათით - მიდგომა გათვლილია მათთვის, ვინც სწავლებისთვის გამოყოფილი დღეების განმავლობაში გათავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან სწავლება გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში; მეორე შემთხვევაში ბენეფიციარების დატვირთვა დღის განმავლობაში განსაზღვრულია არა უმეტეს 3 საკონტაქტო საათით - მიდგომა გათვლილია იმ ბენეფიციარებზე, ვინც სწავლებისთვის გამოყოფილი დღეების განმავლობაში ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას.
ინდიკატორები სწავლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის №1-219 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) „პიროვნული დაპროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ და საგნების სილაბუსები.
რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.7. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა და პროგრამის განხორციელების გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას: ა) სასწავლო მასალა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიხედვით რელევანტური მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს; ბ)პროგრამის განხორციელების გეგმა შეიცავს ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ის, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულები იყვნენ შესაბამისი დარგის ტრენერები, რომლებიც არიან დარგის ექსპერტები და აქვთ ამ მიმართულებით სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულია კურსის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგის რელევანტური სასწავლო ლიტერატურა. შემუშავებულია პროგრამის განხორციელების გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ. სასწავლო მასალა შეესაბამება დარგის აქტუალურ მიღწევებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ აქცენტი გაკეთდა პროგრამაზე მსმენელთა შეფასების ფორმაზე. დაწესებულების მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით და არსებული მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სასურველია მსმენელთა შეფასების პროცესი განახორციელოს ელექტრონულ ფორმატში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების ორი ტიპის ალტერნატიული გრაფიკი, სადაც გათვაისწინებულია საჯარო მოხელეების ინტერესები. ერთ შემთხვევაში ბენეფიციარების დატვირთვა დღის განმავლობაში განსაზღვრულია არა უმეტეს 6 საკონტაქტო საათით - მიდგომა გათვლილია მათთვის, ვინც სწავლებისთვის გამოყოფილი დღეების განმავლობაში გათავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან სწავლება გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში, მეორე შემთხვევაში ბენეფიციარების დატვირთვა დღის განმავლობაში განსაზღვრულია არა უმეტეს 3 საკონტაქტო საათით - მიდგომა გათვლილია იმ ბენეფიციარებზე, ვინც

სწავლებისთვის გამოყოფილი დღეების განმავლობაში ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას.
ინდიკატორები • „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ საგნების სილაბუსები. • სწავლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის №1-219 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“. • „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ • განხორციელების გეგმა.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მსმენელთა შეფასების პროცესი განახორციელდეს ელექტრონულ ფორმატში. მითუმეტეს, ორგანიზაციას ამ მიმართულებით გააჩნია სათანადო გამოცდილება და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.8. პროგრამა ითვალისწინებს მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას, ხოლო უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ითვალიწინებს პროგრამის გაუმჯობესების მექანიზმებს, რისთვისაც იყენებს სასწავლო პროგრამის შეფასების რამდენიმე ინსტრუმენტს, რომელთა შორის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს მონაწილეთა რეაქციის შეფასება პროგრამის მიმართ. მონაწილეებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შეფასების კითხვარები შემდეგი ასპექტების შესაფასებლად: კურსის საერთო შეფასება; კურსის შინაარსისა და სტრუქტურის შეფასება. მიღებული ინფორმაციის (რაოდენობრივი და თვისობრივი) შეჯერებისა და ანალიზის შედეგად ხდება სასწავლო პროგრამის სუსტი/ძლიერი მხარეების გამოვლენა და პროცესის გასაუმჯობესებლად შესაბამისი საკითხების ინიცირება. პროგრამა სააკრედიტაციოდ წარდგენამდე დაწესებულებამ განახორციელა პროგრამის საპილოტე რეჟიმში განხორციელება. პროგრამა შეფასდა მსმენელების მიერ, დაწესებულებამ მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე იდენტიფიცირებული საჭიროებები გაითვალისწინა პროგრამის დღეის მდგომარეობით არსებული რედაქციით შემუშავების ეტაპზე.
ინდიკატორები • სწავლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ივნისის №1-52 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“. • „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ განხორციელების გეგმა.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.9. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს:
ა) სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ შედგენილი შეფასების გეგმის მიხედვით;
ბ) პროგრამით გათვალისწინებულია შეფასების ადეკვატური ფორმები და მეთოდები, რომელიც მსმენელის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
გ) სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“ითვალიწინებს პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლების ხარისხის მუდმივი ზრდისა და სასწავლო პროგრამის მონაწილეთა კმაყოფილების უზრუნველყოფისათვის შეფასებას.

შეფასების პროცესი მოიცავს რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეგროვება-ანალიზს. შეფასების ძირითადი ფორმებია:

- მონაწილის უკუკავშირი - ძირითადად გამოიყენება სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, ზეპირი გამოკითხვის ან/და შეფასების კითხვარის გამოყენებით (მატერიალური/დისტანციური ფორმით). მონაწილის უკუკავშირი, როგორც შეფასების ინსტრუმენტი, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, დამოუკიდებელი სესიების დასრულების შემდეგ;
- სწავლების შედეგების შეფასება - ძირითადად გამოიყენება პროგრამის ბოლოს მონაწილეთა სასწავლო პროგრესის შესაფასებლად (შემაჯამებელი/ფინალური შეფასება). სწავლების შედეგების შეფასება, როგორც შეფასების ინსტრუმენტი, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას (მაფორმირებელი შეფასება);
- ქცევის ცვლილების შეფასება - აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენება პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გულისხმობს კურსდამთავრებულის და/ან მისი დამსაქმებლისგან/ხელმძღვანელისგან უკუკავშირის შეგროვებას შესაბამისი კითხვარების ან/და ინტერვიუების მეშვეობით (ძირითადად ხორციელდება კურსის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ). უკუკავშირის მიზანია ტრენინგის შედეგად მიღებული უნარებისა და ცოდნის სამუშაო გარემოში/პრაქტიკაში ტრანსფორმაციის გაზომვა;
- ტრენერის უკუკავშირი - ტრენერის გამოკითხვა/ინტერვიუ ხორციელდება სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამის შინაარსის, ადმინისტრაციულ-ლოგისტიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული საკითხების შეფასებას;

▯ მონიტორინგი - გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სხვადასხვა ასპექტების (ტრენერი, მონაწილეები, გარემო) შესაფასებლად და მოიცავს სასწავლო პროცესზე დასწრებას, დათვალიერებას, შემოვლას. მნიშვნელოვანია ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში მყისიერი რეაგირებისთვის. სწავლების შეფასების მიზანია სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით მიღებული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის შედეგად ხდება სასწავლო პროგრამის სუსტი/ძლიერი მხარეების გამოვლენა და პროცესის გასაუმჯობესებლად შესაბამისი საკითხების ინიცირება.
ინდიკატორები • სწავლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ივნისის №1-52 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“. • სწავლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის №1-219 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“. • „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ განხორციელების გეგმა.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.10. პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას არანაკლებ 80%იანი დასწრების მაჩვენებლისა (საკონტაქტო საათების მიხედვით) და პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების შესაბამისად პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგის საფუძველზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“ითვალიწინებს პროგრამის დასრულების სერტიფიკატის გაცემის წესს. სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი გაიცემა პროგრამაში შემავალი თითოეული საგნის 80%-იანი დასწრების მაჩვენებლის დაკმაყოფილებისა და პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგის საფუძველზე (ფინალურ ტესტირებაში მონაწილის მიერ მინიმალური ზღვრის (75%) გადალახვა). აღნიშნული თანხვედრაშია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
ინდიკატორები • სწავლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ივნისის №1-52 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“. • სწავლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის №1-219 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“. • „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ განხორციელების გეგმა.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
პროგრამის შინაარსი	☒	☐	☐

2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

2.1. სწავლებას ახორციელებს სათანდო კვალიფიკაციის მქონე პირი/პირები (შემდგომში – ტრენერი): ა) ტრენერს აქვს პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესაბამისი: 1) აკადემიური უმაღლესი ან მასთან გათანაბრებული განათლება, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება; და 2) ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება; ბ) ტრენერთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ან წინასწარი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები; გ) ტრენერს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, ტრენერი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებამაც შეიძლება პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა მოახდინოს აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროგრამის ჩატარებას უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის თანამშრომლები და მოწვეული ტრენერები (სულ 19 პირი), რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობის მოთხოვნებს/კრიტერიუმებს, კერძოდ: ა) აკადემიური უმაღლესი ან მასთან გათანაბრებული განათლება, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება; ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება. ტრენერებად შერჩეული პირების მიმართ არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტის საფუძვლები (მათი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელება არ ახდენს პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე), რაც დადასტურებულია ტრენებთან დადებული წინასწარი შეთანხმებებით. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ტრენერებთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ნიმუში, რომელით შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ინდიკატორები • ტრენერებთან გაფორმებული წინასწარი შეთანხმებები. • ტრენერის სამუშაო აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. • ტრენერების CV და აკრედიტაციის მოთხოვნებთან ტრენერის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადასტურება.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები ოპტიმალურად არის განაწილებული: ა) სწავლების საკლასო მეცადინეობის მეთოდით/ ფორმით განხორციელების შემთხვევაში, ერთი ნაკადის მსმენელთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს; ბ) მსმენელის დატვირთვა არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებსაც, ხოლო თუ მსმენელი სამუშაო დღეს განთავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში – 6 საკონტაქტო საათს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების გათვალისწინებით, აღნიშნული პროგრამის სწავლების ფორმად შერჩეულია საკლასო მეცადინეობა. ერთი ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს. პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N242 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნასთან. საჯარო მოხელეების ინტერესების

გათვალისწინებით შემუშავებულია პროგრამის განხორციელების ალტერნატიული გრაფიკები: ა) ერთ შემთხვევაში ბენეფიციარების დატვირთვა დღის განმავლობაში განსაზღვრულია არა უმეტეს 6 საკონტაქტო საათით - მიდგომა გათვლილია მათთვის, ვინც სწავლებისთვის გამოყოფილი დღეების განმავლობაში გათავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან სწავლება გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში; ბ) მეორე შემთხვევაში ბენეფიციარების დატვირთვა დღის განმავლობაში განსაზღვრულია არა უმეტეს 3 საკონტაქტო საათით - მიდგომა გათვლილია იმ ბენეფიციარებზე, ვინც სწავლებისთვის გამოყოფილი დღეების განმავლობაში ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას.
ინდიკატორები • „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ საგნების სილაბუსები. • სწავლების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრის №1-219 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“. • „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ განხორციელების გეგმა.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. დაწესებულებას შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების დემონსტრირება:
ა) არსებობს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;
ბ) შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც რეალისტური და გაზომვადია; ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს;
გ) ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს;
დ) რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის;
ე) არსებობს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფართი, სადაც დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, არსებობს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონეპირებისთვის; ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან არსებობს წერილობითი შეთანხმება, საჭიროებიდან გამომდინარე, ფართით დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების ცენტრის სარგებლობაში არსებულ შენობაში (მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №138, V სართული) განთავსებულია სატრენინგო სივრცე, რომელიც აღჭურვილია ტრენინგის ჩასატარებლად აუცილებელი ინვენტარითა და ტექნიკით.
აღნიშნული სივრცე სწავლების ცენტრის მართლზომიერ მფლობელობაშია სარგებლობის უფლებით. ამასთან, სწავლების ცენტრი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) წერილობით დადასტურებული თანხმობით უფლებამოსილია ისარგებლოს ცესკოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ შენობაში განთავსებული სატრენინგო სივრცეებით (დარბაზები შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით, სასწავლო-საყოფაცხოვრებო ფართი, კვების პუნქტი).
შენობა ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, მათ შორის, ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. ტრენინგების სმენადაქვეითებული მონაწილეები უზრუნველყოფილი არიან სურდო თარგმანით. შენობაში დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, არსებობს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
პროგრამის განსახორციელებლად სწავლების ცენტრს გააჩნია შესაბამისი ადამიანური რესურსი (სწავლების ცენტრის პერსონალის ფუნქციები სრულად შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს) და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან (ცესკო) შეთანხმებით დამტკიცებული სწავლების ცენტრის 2023 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ ფინანსურ რესურს.
დაწესებულებას აქვს რესურსი 50 პირი უზრუნველყოს საცხოვრებელი პირობით.

ინდიკატორები

- სასწავლო ცენტრის 2023 წლის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- შენობის მართლზომიერ მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ;
- ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ;
- თანხმობა სატრენინგო სივრცით სარგებ,ბის შესახებ;
- ინფორმაცია ადმინისტრაციული თანამშრომლების შესახებ.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასება ითვალისწინებს უკუკავშირს ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ადგენს სამიზნე ნიშნულებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება ითვალიწინებს სასწავლო პროგრამის შეფასების რამდენიმე ინსტრუმენტს. მონაწილეებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოყენებულ იქნება კითხვარები: კურსის ორგანიზაციული საკითხების შეფასება, ტრენერის შეფასება. ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მოხდება საკითხების ინიცირება პროდ.ცესების გასაუმჯობესებლა

ინდიკატორები:

- სწავლების ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 ივნისის №1-75 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო“;
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	☒	☐	☐

15.03.2023